ბექა ქებულაძე

ბიოგრაფია

დაბადების თარიღი: 28 აგვისტო, 1990
დედა: ლენა ობოლაძე - ექიმი, პედიატრი
მამა: ავთანდილ ქებულაძე - იურისტი, ადვოკატი.
მისამართი: ქ.ქუთაისი, ყაუხჩიშვილის ქ. # 6
ტელეფონი: 571 09 73 20 0431 24 43 25
ელ.ფოსტა: beqa.qebuladze@mail.ru

2007 წელს ჩავაბარე ქ.ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის მიმართულებით.

2010 წელს „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 10 მარტის #1/28 გადაწყვეტილებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟირების კომისიის 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე დავინიშნე სტაჟიორად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში ექვსი თვის ვადით.

2011 წელს წარჩინებით დავამთავრე ბაკალავრიატი და ჩავაბარე ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში - მაგისტრატურაში, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2011 წელს გავიმარჯვე კონკურსში, რომლის თანახმადაც იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა სრულად დამიფინანსა მაგისტრატურაში სწავლა და ამავე წელს 6 თვიანი სტაჟირება გავიარე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სადაც აქტიურად ვიყავი ჩართული იურიდიულ საქმიანობებში როგორც სისხლის სამართალში, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში. პროფესიული წინსვლისათვის, მონაწილეობა მაქვს მიღებული - 2012 წლის 11-12 აპრილს ევროპის საბჭოსა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ ორგანიზებულ სემინარში „არასათანადო მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებული გამოძიების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან" რაც დასტურდება სერტიფიკატით, ასევე 2012 წლის 26-27 ივნისს დავესწარი კურსს პრეზენტაციის უნარები და ფასილიტაცია, რომელიც დასტურდება ტრენინგების და კონსულტაციების მიერ გაცემული სერტიფიკატით.

2012 წელს, 8 თვიანი სტაჟირება გავიარე ქუთაისის იურიდიული დახმარების სამსახურში, სისხლის სამართლის მიმართულებით.

2013 წელს წარჩინებით დავასრულე მაგისტრატურა სისხლის სამართლის მიმართულებით, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აქტიურად ვარ ჩართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში, ესენია მუსიკა, ხატვა, ქანდაკება, 8 წლის განმავლობაში ვიყავი ქართული ნაციონალური ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე, ასევე სკოლაში სწავლის პერიოდში, 5 წლის განმავლობაში

დავეუფლე საბრძოლო ხელოვნებას (შოტოკან კარატე დო) და მაქვს დიდი მიღწევები, რაც დასტურდება შესაბამისი მედლით, სიგელით თუ დიპლომით.

ხშირად ვარ კულტურული ღონისძიებების წამყვანის ამპლუაში, ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა ფოლკლორულ თუ სხვა სახელოვნებო ფესტივალში, კონცერტში.

7 წლიანი მუსიკალური განათლება მივიღე მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სახელოვნებო გიმნაზიაში საფორტეპიანო მიმართულებით.

2015 წელს დავასრულე აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელი, საგუნდო-სადირიჟორო მიმართულებით. ვარ ამავე სასწავლებლის ფოლკლორული ანსამბლში, საიდანაც ბოლო წლების განმავლობაში დავდივართ გასტროლებზე ევროპაში. კონცერტები გვქონდა ესპანეთში, პორტუგალიაში. ამავე ანსამბლიდან 2016 წელს გავიმარჯვეთ საქართველოს ფოლკლორულ ფესტივალში და ავიღეთ ოქროს მედალი.

ვწერ ლექსებს და მაქვს გამოცემული 3 კრებული. პირველი - 2011 წელს (რედაქტორი: გია ხოფერია), მეორე - 2012 წელს (რედაქტორი: გია ხოფერია) და მესამე - 2016 წელს (რედაქტორი: ზაალ ეგანოიძე).

2012 წელს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ პროექტ ,,ხელოვანთა კონკურსში'' გავიმარჯვე და ავიღე პირველი ადგილი ლექსით: ,,ახალგაზრდობა და ხელოვნება.''.

2012 წელს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილ კონკურსში ,,ვინ უკეთ წერს'' გაიმარჯვა ჩემმა ლექსმა ,,14 აპრილი, საქართველო''.

2013 წელს, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პროექტის ,,ახალგაზრდული ინიციატივები''-ს ფარგლებში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა პოეზიის კონკურსი, სადაც ჩემმა ლექსმა ,,ქუჩის ძაღლები'' გაიმარჯვა და აიღო პირველი ადგილი.

2015 წელს, ლექსით ,,ნეიტრალური ხაზი'', გავიმარჯვე ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი''.

2015 წელს ჩავაბარე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ალმა მატერში, დოქტორანტურაში - სისხლის სამართლის მიმართულებით. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელია - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი, პროფესორი - ბატონი მერაბ ტურავა.

2015 წლის 31 ოქტომბერს, ორგანიზება გავუკეთე ახალგაზრდულ ფოლკლორულ ფესტივალს - ,,მოგზაურობა დროში'', რომლის წამყვანის ამპლუაშიც ვიყავი.

2016 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მივიღე ევრაზიის ფორუმში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროპის მეცნიერთა ინსტიტუტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით.

2016 წლის დეკემბერში, სპორტული ფესტივალის წაყვანისათვის და მასში აქტიური მონაწილეობისათვის, სერთიფიკატი მივიღე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის - ტარიელ ხეჩიკაშვილისგან.

2016 წელს პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში ლექციებს ვკითხულობდი ალმა მატერში.

2016 წლის შემოდგომიდან, ლექციებს (სისხლის სამართლის მიმართულებით) ვკითხულობ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2017 წლის მარტიდან, ლექციებს სისხლის სამართლის მიმართულებით, ვკითხულობ უკრაინის უნივერსიტეტში (ქუთაისში).

2017 წელს გავხდი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ჩემი ლექსები იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, როგორებიცაა „უქიმერიონი", „მერმისი", „მწვანეყვავილა", „განთიადი" და ა.შ.

2017 წელს გავხდი სრულიად საქართველოს ღირსების დარბაზის წევრი.

2017-2018 წლის სეზონზე, ტელერადიო კომპანია „რიონში" ვმუშაობდი შემეცნებით გასართობი გადაცემა „დილით" - ნამყვანად.

2018 წელს გავხდი საზოგადოება „ბაღისკიდე"-ს წევრი.

2018 წლის 8 თებერვალს გავხდი სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი.

2018 წელს თეატრალური ფესტივალის „თეატრალური იმერეთი"-ს ფარგლებში ვიყავი ახალგაზრდული ჟიურის თავმჯდომარე.

2018 წელს გავხდი ფოლკლორული ანსამბლ „ბერმუხა"-ს სამხატვრო ხელმძღვანელი.

2018 წლის 14 ივნისს ამირჩიეს საზოგადოება „ბაღისკიდე"-ს აღმასრულებელ დირექტორად.

2018 წლის 25 სექტემბერს ამირჩიეს საზოგადოება „ბაღისკიდე"-ს თავმჯდომარედ.

2018 წელს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისა და მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ფოტოკონკურსში „წიგნი ობიექტივიდან"- ვიყავი ჟიურის წევრი.

2018 წელს გავხდი საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვანთა ეროვნული აკადემიის წევრი.

2019 წლის 7 მარტს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, გავხდი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პატივგებისა და სახელდების კომისიის წევრი.

2019 წელს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა, ბოლო წლებში შექმნილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, მომანიჭა - ლადო ასათიანის სახელობის პრემია.